ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №276561

ნომერი: AR168093

თარიღი : 23.07.2012

გაცემის თარიღი : 26.07.2012

გაცნობის თარიღი : 30.07.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩაჩავა , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ თავაძე პ/ნ 61003002313
- ბათუმი თამარ მეფის დას. N 2 ბ. 18

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- კოეფიციენტის განსაზღვრა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR168093 განაცხადის პასუხად გაცნობებთ შემდეგს: მიწის ნაკვეთის ნაწილი საკადასტრო კოდით #01.13.01.005.001 დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 1 (სსზ–1)–სა და ნაწილი სპეციალურ ზონა 1 (სპეცზ–1)–ში. ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები"-ს მიხედვით საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1) წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ–საქმიან ზონას მათ შორის კარკასს, განაშენიანების დომინირებული სახეობის გარეშე (შერეული ზონა). ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტია კ–1=0.7,
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტია კ–2=3.5,
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტია კ–3=0.1.

საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 1 (სსზ–1) დასაშვებია დანართით (იხ. დანართი)
განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობების არსებობა.

სპეციალური ზონა 1 (სპეცზ–1) განთავსებულია განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან საზღვრებს გარეთ, სადაც დასაშვებია სასწავლო, სამედიცინო კომპლექსები, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო დაწესებულებების, აგრეთვე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და -სასაწყობო ობიექტების განთავსება.

სპეციალურ ზონა 1 (სპეცზ–1)–ში ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები დადგენილი არ არის. ამასთან, თუ აპირებთ საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარებას შენობა–ნაგებობების კომპლექსით მისი ფართობიდან გამომდინარე (6499 მ^2)
რეკომენდირებულია დამუშავდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც დაადგენს აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს #2378346;

(დანართი ორი გვერდი)

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.